



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 182  
26/01/2018

ქალაქი ბათუმი

182-05-4-201801261153



### შ.პ.ს „ტერა-2014“-ზე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის ანაზღაურების შესახებ

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტ. ნაკაშიძის 2018 წლის 25 იანვრის №217-05 მოხსენებითი ბარათით განიმარტა, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად 2017 წლის 24 ოქტომბერს შ.პ.ს „ტერა-2014“-სა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული №237 ხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს „ტერა-2014“-მა დაასრულა სოფელ ვარშალომიძეებში (ხასტერეში) გასართობი სკვერისა და ატრაქციონის მოწყობის სამუშაოები, რომლის სრული სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 97044 ლარს. აქედან შუალედური სამუშაოების შესრულებისათვის შ.პ.ს „ტერა-2014“ ანაზღაურებული აქვს 50074,34 ლარი. დარჩენილი 46369,65 ლარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შ.პ.ს „ტერა-2014“-მა დაასრულა 2017 წლის 28 დეკემბერს, რომელიც დასტურდება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი და სამუშაოთა მიმღები კომისიის მიღება-ჩაბარების აქტით, აღნიშნული თანხის **46369,65 ლარის ჩარიცხვა** ვერ განხორციელდა 2017 წელს, რის გამოც დარჩა დავალიანება შ.პ.ს „ტერა-2014“-ის მიმართ. მიმდინარე წელს, რომ განხორციელდეს აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება ამისათვის საჭიროა გამოიცეს სამართლებრივი აქტი, რომელიც ანაზღაურდება წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულების კლების მუხლიდან.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელის ტ. ნაკაშიძის 2018 წლის 25 იანვრის №217-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **გბრძანებ:**

1. შ.პ.ს „ტერა-2014“-ზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დარჩენილი თანხის 46369,65 ლარის ანაზღაურება მოხდეს მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.


2. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საბიუჯეტო-საფინანსო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) განახორციელის ქმედითი ღონისძიებები თანხის გადარიცხვის უზრუნველსაყოფად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

A handwritten signature in blue ink, enclosed in a blue oval. The signature is stylized and appears to be the name 'Jumber Vardmanidze'.